



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

სხდომის ოქმი № 11/ 2018

თბილისი

19 ივნისი 2018 წ.

სხდომის დაწყების დრო: 17.00

სხდომის დასრულების დრო: 17.30

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვალენტინა საყვარელიძე – აკადემიურის საბჭოს თავმჯდომარე, თჰუ რექტორი;
2. კახი ყურაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
3. თამარ ლალიაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
4. ილონა საყვარელიძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
5. მაკა კაჭარავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
6. ირინა ჯობავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
7. ირმა დიხამინჯია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
8. მადონა გელაშვილი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი).

ქვორუმი: 5

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: პროფ. კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მღწევის შეფასების წესების მოდიფიცირების შესახებ (მომხ.: პროფ. კ. ყურაშვილი);
 2. ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების თობაზე (მომხ. ი. საყვარელიძე);
 3. ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის „ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვა“-ის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირებული თაობაზე (მომხ. პროფ. მ. გელაშვილი)
1. მოისმინეს: პროფესორ კ. ყურაშვილის ინფორმაცია, რომ მიმდინარე მომენტისთვის სასურველია შევიდეს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მღწევის შეფასების წესებში. კერძოდ, მეორე მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით (*კითხულობს*):

- ა) „5. შეფასების საერთო ქულა -100; შეფასების საერთო ქულიდან (100ქულა) შუალედური შეფასებ(ებ)ის ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად არანაკლებ 60 ქულას (60%), ხოლო დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილია არაუმეტეს 40 ქულა(40%);“
- ბ) „6. შუალედური შეფასებ(ებ)ის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად არის არანაკლებ 11 ქულა;“
- გ) „7. დასკვნითი შეფასების კომპეტენციის მინიმალური ზღვარია დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილის 50%;“.

გამომდინარე აქედან, მომხსენებელმა მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მღწევის შეფასების წესები (მეორე რედაქცია) წარმოადგინა დანართი 1-ის სახით და აღნიშნული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

ზრი გამოთქვა: პროფ. მადონა გელაშვილმა

კენჭისყრის შედეგი: ერთხმად

გადაწყვიტეს:

1. მოდიფიცირდეს „საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მღწევის შეფასების წესები“ დანართი 1-ის სახით;
2. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
3. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

2. მოისმინეს: პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, რომ ჯანდაცვის ფაკულტეტის 2018 წლის 14 ივნისის N 23 გადაწყვეტილებით დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა პროგრამაში განხორციელებულ ყველა მნიშვნელოვან ცვლილებებზე და დანართი 2-ის სახით წარმოადგინა მოდიფიცირებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი.

პროფ. ი. საყვარელიძემ აღნიშნული საკითხები დააყენა კენჭისყრაზე.

ზრი გამოთქვა: პროფ. კახი ყურაშვილმა

კენჭისყრის შედეგი: ერთხმად

გადაწყვიტეს:

1. მოდიფიცირდეს ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ რეალიზებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 2-ის სახით;
2. ამოქმედდეს მოდიფიცირებული პროგრამა აკრედიტაციის მოპოვების შემთხვევაში;

3. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
4. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3. მოისმინეს: პროფესორ მადონა გელაშვილის ინფორმაცია, რომ ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 2018 წლის 12 ივნისის N 17 გადაწყვეტილებით დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნა „ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვა“-ის საგანმანათლებლო საბაკალავრო ქართულენოვანი პროგრამის მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელსაც შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა „ბიზნესის ადმინისტრირება“.

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა პროგრამაში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებზე და დანართი 3-ის სახით წარმოადგინა მოდიფიცირებული „ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო საბაკალავრო ქართულენოვანი პროგრამა

პროფ. მ. გელაშვილმა აღნიშნული საკითხები დააყენა კენჭისყრაზე.

აზრი გამოთქვა: პროფ. კახი ყურაშვილმა

კენჭისყრის შედეგი: ერთხმად

გადაწყვიტეს:

1. მოდიფიცირდეს ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა დანართი 3-ის სახით;
2. ამოქმედდეს მოდიფიცირებული პროგრამა აკრედიტაციის მოპოვების შემთხვევაში;
3. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
4. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

აკადემიური საბჭოს მდივანი:



ვ. საყვარელიძე

კ. ყურაშვილი